საიდ. №69615/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 33-03/13

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპა-ტენტის" სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ი. გიქორაშვილი (თავმჯდომარე), დ. ჭიჭინაძე, მ. ბაკურაძე ქ. კილაძის მდივნობით განიხილა რევაზ ბოჭორიშვილის სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 19 ნოემბრის №1533/03 ბრძანების ბათილად ცნობა , იმ ნაწილში, რომლითაც განცხადებულ სასაქონლო ნიშანს „ბელა" უარი ეთქვა 30-ე კლასის განცხადებული საქონლის მიმართ რეგისტრაციაზე. აღნიშნულ ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად განცხადებულ სასაქონლო ნიშანს ,,ბელა" (საიდ. №69615/03) უარი ეთქვა რეგისტრაციაზე, ვინაიდან სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი „ბელა" მსგავსია მადრიდის შეთანხმების ოქმით კომპანია „BELLA BULGARIA AD" სახელზე რეგისტრირებული და საქართველოში დაცული საერთაშორისო ნიშნისა „BELLA (რეგ.№761463, თარიღი: 05.06.01.წ.) 30-ე კლასის მსგავსი ჩამონათვლისათვის. შესაბამისად „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, ნიშანს ნაწილობრივი უარი ეთქვა რეგისტრაციაზე 30-ე კლასის საქონლის ჩამონათვლისთვის.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანიის წარმომადგენელი სოფიო მუჯირი არ ეთანხმება აღნიშნულ გადაწყვეტილებას და თვლის, რომ არ არსებობს განცხადებული სასაქონლო ნიშნისათვის „ბელა" რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი. აპელანტი მოითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 19 ნოემბრის №1533/03 ბრძანების ბათილად ცნობას, იმ ნაწილში, რომლითაც განცხადებულ სასაქონლო ნიშანს „ბელა" უარი ეთქვა 30-ე კლასის განცხადებული საქონლის მიმართ რეგისტრაციაზე.

აპელანტს მიაჩნია, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და განცხადებული სასაქონლო ნიშანი უნდა დარეგისტრირდეს, განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვლისთვის ვინაიდან, განცხადებული ნიშანი წარმოადგენს სტილიზებული ქართული ასოებით შესრულებულ აღნიშვნას „ბელა", ხოლო დაპირისპირებული ნიშანი „BELLA" შესრულებულია ლათინური ასოებით და მოთავსებულია ორიგინალური მოგრძო ფორმის ფიგურაზე, რომელიც თავისთავად ჩახატულია კონცენტრული წრეხაზებით შედგენილ ფიგურაში, წარწერის „BELLA" ორივე მხარეს მოთავსებულია ფოთლის სტილიზული გამოსახულება. დაპირისპირებული ნიშნის აღწერილობაში მითითებულია, რომ იგი წარმოადგენს მოცულობით ნიშანს და შესაბამისად გამოიყენება, როგორც საქონლის შეფუთვა, მაშინ როცა განცხადებული ნიშანი ორგანზომილებიანია.

მიუხედავად იმისა, რომ განცხადებულ და დაპირისპირებულ ნიშნებს შორის არსებობს გარკვეული მსგავსება, სრულიად განსხვავდება მათი სემანტიკა და აპელანტი განმარტავს, რომ განცხადებულ ნიშანს „ბელა" არ გააჩნია შინაარსობრივი დატვირთვა და ქართულ ენაში გამოიყენება როგორც ქალის სახელი, ხოლო დაპირისპირებული ნიშანი „BELLA"-ს ქართული შესატყვისია „ლამაზი ქალი".

აპელანტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ნიშნების დაცვა მოითხოვება განსხვავებული საქონლისთვის – განცხადებული ნიშნის დაცვა მოითხოვება: „საკონდიტრო ნაწარმი ტორტებისა და სხვადასხვა ნამცხვრის ჩათვლით", ხოლო დაპირისპირებული ნიშანი დაცულია შემდეგი სახის საქონლის ჩამონათვლის მიმართ: „მაიონეზი, შოკოლადი, შოკოლადის სასმელები, რძე-შოკოლადის

სასმელები, ყავა, ჩაი, კაკაო, შაქარი, ბრინჯი, ფქვილი და მარცვლეული ნაწარმი, პური, ფუნთუშეული და საკონდიტრო ნაწარმი, საკვები ყინული, საფუარი ფხვნილები, მარილი, საკაზმები, სანელებლები."

აპელანტის განმარტებით, დაპირისპირებული ნიშნები გამოიყენება სხვადასხვა სახის საქონლის ჩამონათვლისთვის და მიაჩნია, რომ აღნიშნული ნიშნების თანაარსებობა ქართულ ბაზარზე არ გამოიწვევს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას, ვინაიდან ქართული ნიშანი „ბელა" ქართულ ბაზარზე საკმაო პოპულარობით სარგებლობს. სასაქონლო ნიშანი „ბელა" თბილისის მაშტაბით აერთიანებს ხუთ მაღაზიას და მიმდინარე წლის განმავლობაში დაემატება ორი მაღაზია. განცხადებული ნიშანი საქართველოს ბაზარზე მოღვაწეობს 1992 წლიდან და საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს ქართველ მომხმარებელთა შორის.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 19 ნოემბრის №1533/03 ბრძანება, იმ ნაწილში, რომლითაც განცხადებულ სასაქონლო ნიშანს „ბელა" უარი ეთქვა 30-ე კლასის განცხადებული საქონლის მიმართ რეგისტრაციაზე.

სააპელაციო პალატის კოლეგია მიიჩნევს, რომ განცხადებულ ნიშანს „ბელა" და დაპირისპირებულ ნიშანს „BELLA" არსებული მსგავსებისა მათ შორის არსებობს საკმაო განმასხვავებლობა, რომ არ მოხდეს მათი ერთმანეთში აღრევა. განცხადებული ნიშანი სიტყვიერი ნიშანია, რომელიც შესრულებულია ქართული სტილიზებული შრიფტით და შედგება ოთხი ასოსაგან. რაც შეეხება დაპირისპირებულ ნიშანს იგი კომბინირებული ნიშანია. მისი სიტყვიერი ნაწილი ხუთ ასოიანია, შესრულებულია ლათინური ანბანით და აღნიშნული ელემენტის გარდა შეიცავს გამოსახულებას. დაპირისპირებული ნიშანი წარმოადგენს ე.წ. სამგანზომილებიან ნიშანს, რომელიც შესრულებულია წითელ, ლურჯ, ყვითელ და თეთრ ფერებში ამდენად, აღნიშნული ნიშნები განსხვავდებიან ვიზუალურად.

დაპირისპირებულ ნიშანი „BELLA" „ლამაზ ქალს" აღნიშნავს, ხოლო განცხადებული ნიშანი კი ქალის სახელია.

სასაქონლო ნიშნით „ბელა" ნიშანდებული საქონელი საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს ქართველ მომხმარებელში და რამოდენიმე წელია ამ ნიშნით ნიშანდებული საქონელი იყიდება საქართველოს ბაზარზე. საკონდიტრო

ნაწარმმა „ბელა” ხანგრძლივი გამოყენების შედეგად დაიმკვიდრა ადგილი სამომხმარებლო ბაზარზე და იგი მაღალი ცნობადობით გამოირჩევა, რაც კოლეგიის აზრით ამცირებს მათი აღრევის შესაძლებლობას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კოლეგია მიიჩნევს, რომ განცხადებული ნიშნის რეგისტრაციის შემთხვევაში, არ მოხდება მათი აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა მწარმოებლის მიმართ. ამდენად, კოლეგია თვლის, რომ არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტით დადგენილი განცხადებული სასაქონლო ნიშნისათვის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.

ამდენად, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 19 ნოემბრის №1533/03 ბრძანება, იმ ნაწილში, რომლითაც განცხადებულ სასაქონლო ნიშანს „ბელა” უარი ეთქვა 30-ე კლასის განცხადებული საქონლის მიმართ რეგისტრაციაზე.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ გაითვალისწინა ზემოაღნიშნული გარემოებანი და იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. რევაზ ბოჭორიშვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 19 ნოემბრის №1533/03 ბრძანება, იმ ნაწილში, რომლითაც განცხადებულ სასაქონლო ნიშანს „ბელა” უარი ეთქვა 30-ე კლასის განცხადებული საქონლის მიმართ რეგისტრაციაზე.
3. განცხადებული სასაქონლო ნიშანი „ბელა” (საიდ. №69615/03) დარეგისტრირდეს ასევე 30-ე კლასის განცხადებული საქონლის ჩამონათვლის მიმართ.

4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში. (მის.: მცხეთა, სამხედროს ქ. №17).

კოლეგიის თავმჯდომარე:	ი. გიქორაშვილი
წევრები:	მ. ბაკურაძე
	დ. ჭიჭინაძე